



**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო  
სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი**

**ბრძანება**

№   L  

  03.01   20  17  

„სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე“ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მე-5 მუხლის, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №59 ბრძანების მე-5 მუხლის „ლ“ პუნქტის საფუძველზე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1.„სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2014 წლის 10 თებერვლის №27 ბრძანების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე (მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე) პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შემდეგი თანამშრომლები:

საქმისწარმოების სპეციალისტი - მაია ჯანგირაშვილი;  
ეკონომიკური სამსახურის უფროსი - მზია მეტრეველი;  
საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი - ცისანა მახათაძე.“

- 2.დაევალოს საქმის წარმოების სპეციალისტ - მაია ჯანგირაშვილს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3ა) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №14).

დირექტორი  
ავთანდილ მიქანაძე